ა(ა)იპ „ნიუ-ვიჟენ“ – უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება

1. ზოგადი დებულებები

1. სადისერტაციო საბჭო არის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისაგან შემდგარი ორგანო, რომელიც ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს სადოქტორო პროგრამის განხორციელებასა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას.

2. სადისერტაციო საბჭო შედგება შესაბამისი სკოლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალისაგან.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე როტაციულია და აირჩევა სხდომაზე დამსწრე წევრების მიერ. იგი ვალდებულია უზრუნველყოს სხდომის წარმართვა და ოქმის შედგენა.

4. სხდომის მოწვევის უფლებამოსილება აქვს საბჭოს ნებისმიერ წევრს, სხდომამდე მინიმუმ 24 საათით ადრე. იგი ვალდებულია, მოწვევას დაურთოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი. დღის წესრიგის დამტკიცება, ისევე როგორც მასში ცვლილებების შეტანა, ხორციელდება უშუალოდ სხდომაზე სხდომის თავმჯდომარის არჩევის შემდეგ.

5. სხდომა უფლებამოსილია, თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობს წევრთა ნახევარი.

6. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს ერთხმად, კონსენსუსით.

2. სადისერტაციო საბჭოს უფლებამოსილება

სადისერტაციო საბჭო:

ა) იღებს გადაწყვეტილებას სადოქტორო პროგრამაში კანდიდატის ჩარიცხვის წინაპირობების დაკმაყოფილების თაობაზე;

ბ) ამტკიცებს ან ცვლის სადისერტაციო ნაშრომის სათაურს; გ) ანიჭებს პირს დოქტორის აკადემიურ ხარისხს;

დ) აკადემიური პატიოსნების ნორმების დარღვევის გამო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სტატუსის შეწყვეტის ან დოქტორის აკადემიური ხარისხის ჩამორთმევის თაობაზე;

ე) ახორციელებს სადისერტაციო საქმისწარმოებასთან დაკავშირებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

2. დოქტორანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადებით უნდა მიმართოს სადისერტაციო საბჭოს ნაშრომის სავარაუდო სათაურის, სტრუქტურისა და სასურველი ხელმძღვანელის მითითებით.

3. დოქტორანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის პროფესორი, თანახელმძღვანელი – ასევე სხვა უნივერსიტეტის პროფესორი.

4. ჩარიცხვის წინაპირობებია:

ა) ხელმძღვანელის თანხმობა;

ბ) ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა, რომელიც, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, ადგენს ინგლისური ან სხვა ევროპული ენის (გერმანული, ფრანგული), მინიმუმ, B2 დონეზე ფლობას ან უცხო ენის საუნივერსიტეტო გამოცდის დაძლევა.

გ) მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სადისერტაციო კვლევის ბიოეთიკურობის თაობაზე ა(ა)იპ „ნიუ ვიჟენ საუნივერსიტეტო ჰოსპიტლის“ სამედიცინო ეთიკის კომისიის ან სხვა აღიარებული უფლებამოსილი ორგანოს (კომისია/კომიტეტი, საბჭო) დასკვნის წარმოდგენა. ბიოეთიკური შესაბამისობის განახლებული დასკვნის წარმოდგენა საჭიროა დამტკიცებული სადისერტაციო თემის, ჩარიცხვის შემდგომ, დოქტორანტის მიერ შეცვლის შემთხვევაშიც.

5. პირი დოქტორანტურაში სადისერტაციო საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე ირიცხება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

4. საგანმანათლებლო პროგრამა და სადისერტაციო საქმისწარმოება

1. სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო (არაუმეტეს 60 ECTS) და კვლევითი მოდულებისგან და სრულდება სადისერტაციო ნაშრომის დაცვით.

2. დისერტაცია დამოუკიდებელი კვლევის შედეგია, ახასიათებს სიახლე და წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში. იგი სრულდება და დაიცვება ქართულ ან ინგლისურ ენაზე. დისერტაციის რეკომენდებული მინიმალური მოცულობაა 40000 სიტყვა.

3. დისერტაცია სადისერტაციო საბჭოს ბარდება 2 აკინძული და ერთი ელექტრონული სახით. დისერტაციას თან ერთვის დოქტორანტის ახსნა-განმარტება, რომ თემა მის მიერაა შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დაძლევა.

ბ) ხელმძღვანელის რეკომენდაცია ნაშრომის საჯარო განხილვაზე დასაშვებად;

გ) სადისერტაციო საბჭოს მიერ დანიშნული ორი შემფასებლის დადებითი შეფასება (თითოეულის ცალ-ცალკე უნდა იყოს 60 ქულის 50 %-ზე მეტი).

5. შემფასებელი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, ნებისმიერი უნივერსიტეტის პროფესორი. შემფასებელი დასკვნას სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს 2 თვის ვადაში ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილებით:

ა) დისერტაციის დადებითად შეფასებისა და დაცვაზე დაშვების შესახებ;

ბ) შესწორების მიზნით დისერტაციის დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების შესახებ; გ) დისერტაციის უარყოფითად შეფასებისა და დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

6. შესწორების მიზნით დოქტორანტისათვის უკან დაბრუნების შემთხვევაში, თუ დისერტაცია ხელახლა არ იქნა წარდგენილი 1 წლის ვადაში, პირი დაცვაზე აღარ დაიშვება.

7. თუ შემფასებლების შეფასება არსებითად განსხვავებულია (არსებობს დადებითი და უარყოფითი შეფასება, ან ორივე დადებითი შეფასების შემთხვევაში შეფასებებს შორის სხვაობა 15 ქულაზე მეტია), ინიშნება მესამე შემფასებელი. შეფასება უნდა იყოს 60 ქულის 50
%-ზე მეტი.

8. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავს დაცვის თარიღს, დროსა და ადგილს. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს ეძლევა მინიმუმ 1 თვე.

9. დისერტაცია, შემფასებლების დასკვნები და საქმისწარმოების მასალები ინახება სადისერტაციო საბჭოს არქივში.

5. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო ნიშნავს სადისერტაციო კომისიას მინიმუმ სამი წევრის შემადგენლობით, რომელშიც შედიან შემფასებლები. კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

2. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარეა უნივერსიტეტის მოქმედი ან საპატიო პროფესორი, რომელიც არ არის დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

3. დისერტაციის დაცვა საჯაროა და მოიცავს:

ა) დოქტორანტის მიერ თემის წარდგენა-პრეზენტაციას, რომელიც არ აღემატება 30 წუთს;

ბ) შეკითხვებსა და დისკუსიას, არა უმეტეს 80 წუთის განმავლობაში;

გ) დოქტორანტის 10-წუთიან დასკვნით სიტყვას.

4. სადისერტაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს დახურულ სხდომაზე უშუალოდ დაცვის შემდეგ კონსენსუსით.

5. დაცვის პროცესის მსვლელობასა და შედეგზე დგება ოქმი. ოქმის წარმოებას უზრუნველყოფს სადისერტაციო კომისია.

6. დისერტაციის დაცვის შეფასება და საბოლოო შეფასების ფორმირება

1. დისერტაციის დაცვა ფასდება სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისაგან დამოუკიდებლად. დაცვის შეფასება უნდა იყოს 40 ქულის მინიმუმ 50 %. შესაბამისად, საბოლოო შეფასებაში სადისერტაციო ნაშრომის შეფასება აისახება 3/5, ხოლო დაცვის - 2/5 თანაფარდობით.

2. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე საჯაროდ აცხადებს დაცვის შეფასებასა და საბოლოო შეფასებას.

3. დისერტაცია არ ითვლება დაცულად, თუ საბოლოო შეფასება „არადამაკმაყოფილებლი“ (41-50 ქულა - insufficienter) ან „სრულიად არადამაკმაყოფილებლია“ (41 ქულაზე ნაკლები - sub omni canone).

4. დისერტაცია დაცულია, თუ საბოლოო შეფასებაა:

91-100 ქულა - ფრიადი (summa cum laude);

81-90 ქულა - ძალიან კარგი (magna cum laude);

71-80 ქულა - კარგი (cum laude);

61-70 ქულა - საშუალო (bene); ან

51-60 ქულა - დამაკმაყოფილებელი (*rite*).

5. თუ დისერტაცია შეფასებულია „არადამაკმაყოფილებლად“ (41-50 ქულა), დისერტაციის ხელახლა წარდგენა და/ან დაცვის გამეორება შესაძლებელია მომდევნო 1 წლის განმავლობაში. დისერტანტის განცხადება განმეორებითი დაცვის თხოვნით წარედგინება სადისერტაციო საბჭოს.

7. დისერტაციის გამოქვეყნება დ აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. დაცული სადისერტაციო ნაშრომი გამოსაქვეყნებლად გადაეცემა უნივერსიტეტის გამომცემლობას.

2. გამოქვეყნების ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.

3. დისერტაციის დაცვისა და სადისერტაციო ნაშრომის გამოსაქვეყნებლად გადაცემის შემდეგ პირს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი და გადაეცემა ამის დამადასტურებელი დიპლომი.

8. საპატიო დოქტორის წოდების მინიჭება

მეცნიერების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის პირს შეიძლება სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭოს საპატიო დოქტორის წოდება.